საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2421 2015 წლის 10 ნოემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ოქტომბრის №2283 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ოქტომბრის №2283 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) განკარგულების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №172 დადგენილებით შექმნილი სამთავრობო კომისიის მიმდინარე წლის 5 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების

ფონდიდან ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს, საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის, გამოუყოს 524 490 (ხუთას ოცდაოთხი ათას ოთხას ოთხმოცდაათი) ლარი, მათ შორის:";

ბ) განკარგულების 1.5 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.5 ხობის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 121 000 (ას ოცდაერთი ათასი) ლარი დანართი №5-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;";

გ) განკარგულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 1.8 ქვეპუნქტი:

„1.8 ცაგერის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 20 000 (ოცი ათასი) ლარი დანართი №8-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.";

დ) განკარგულების დანართი №5 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

ე) განკარგულებას დაემატოს დანართი №8 თანდართული რერდაქციით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დანართი N5

ხობის მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისთვის გამოყოფილი თანხა
1	ქლაქ ხობის ქუჩების კეთილმოწყობის (მოასფალტებაა) სამუშაოები	18,000.0
2	ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ და ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭითაშუქურში წყალსადენის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები	18,000.0
3	ხობის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის აღდგენა	15,000.0
4	ხობის მუნიციპალიტეტში ყოფილი კინოთეატრ „თუთარჩელა"-ს შენობაში მრავალფუნქციური სპორტდარბაზის მოწყობა	70,000.0
სულ ჯამი		**121,000.0**

დანართი N8

ცაგერის მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისთვის გამოყოფილი თანხა
1	სოფ. ქულბაქიდან წყალსადენის მაგისტრალის მშენებლობა	20,000.0
სულ ჯამი		**20,000.0**